

სსმ. 04.06.2008 N80 მუხლი 859
დამტკიცებულია
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2008 წლის
2 ივნისის #138 ბრძანებით
შეტანილია ცვლილება
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2008 წლის
29 აგვისტოს #230 ბრძანებით
შეტანილია ცვლილება
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2008 წლის
23 სექტემბრის #261 ბრძანებით
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2008 წლის
7 ნოემბრის #305 ბრძანებით
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2009 წლის
5 იანვრის #1/01 ბრძანებით
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2009 წლის
29 მაისის #140/01 ბრძანებით
საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის 2010 წლის
20 აპრილის #57/01 ბრძანებით

კომერციული ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებისას საქართველოს ეროვნული ბანკი (შემდგომში – ეროვნული ბანკი) ბანკებისათვის აწესებს მინიმალურ სარეზერვო მოთხოვნებს.
2. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვა სავალდებულოა საქართველოში ლიცენზირებული ყველა კომერციული ბანკისა და უცხოური ბანკის ფილიალისათვის (შემდგომში – ბანკი).
3. ეროვნული და უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების მიხედვით შექმნილი მინიმალური რეზერვების შენახვა ხორციელდება შესაბამისად ეროვნული ვალუტით, აშშ დოლარით და ევროთი, ეროვნულ ბანკში.
4. თუ სხვა რამ არ არის მითითებული, ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი და შესაბამისი კროს-კურსები.
5. მინიმალური რეზერვების გაანგარიშება და დაცვა ეროვნული ვალუტით ხდება ერთეულ ლარებში (თეთრების გარეშე), აშშ დოლარით ხდება ერთეულ დოლარებში (ცენტების გარეშე) და ევროთი ხდება ერთეულ ევროებში (ევროცენტების გარეშე). ნახევარ ერთეულზე ნაკლები თანხა მხედველობაში არ მიიღება, ნახევარი ერთეული და მეტი თანხა დამრგვალდება ერთ ერთეულამდე.

6. ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საბალანსო ანგარიშების მიხედვით) მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 10%. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საბალანსო ანგარიშების მიხედვით) მინიმალური სარეზერვო ნორმა არის 5%.
7. სარეზერვო ანგარიში – უცხოური ვალუტით სავალდებულო რეზერვების დაცვის მიზნებისათვის წარმოადგენს ბანკის სპეციალურ სავალუტო ანგარიშს ეროვნულ ბანკში, რომელიც გამოიყენება უცხოურ ვალუტაში სავალდებულო რეზერვების შესანახად. ეროვნული ვალუტით სავალდებულო რეზერვების დაცვის მიზნებისათვის სარეზერვო ანგარიშად გამოიყენება ბანკის ეროვნული ვალუტის საკორესპოდენტო ანგარიში ეროვნულ ბანკში.
8. საშუალო მოზიდული სახსრები – გაანგარიშების პერიოდში ბანკის მიერ მოზიდული სახსრების საბალანსო ანგარიშებზე ყოველი კალენდარული დღის ბოლოს რიცხული ნაშთების საშუალო არითმეტიკული, რომელიც გაიანგარიშება ცალ-ცალკე, ეროვნული ვალუტის, ევროსა და სხვა უცხოური ვალუტების მიხედვით.
9. მინიმალური რეზერვები - ეროვნულ ბანკში ბანკების სარეზერვო ანგარიშებზე სავალდებულო შესანახი თანხა, რომელიც გაიანგარიშება საშუალო მოზიდული სახსრების გამრავლებით მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ნორმაზე.
10. საანგარიშო პერიოდი – ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული 14 დღიანი პერიოდი, რომელიც იწყება სამშაბათს და მთავრდება ორშაბათს.
11. დასაცავი პერიოდი – 14 დღიანი პერიოდი, რომელიც იწყება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-17 დღეს, ხუთშაბათს და მთავრდება ოთხშაბათს.
12. მოზიდულ სახსრებში არ გაითვალისწინება კომერციული ბანკის კაპიტალი ან მასთან გათანაბრებული სახსრები, მათ შორის საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ განმარტებული „საზედამხედველო კაპიტალი“.
13. მოზიდულ სახსრებში არ გაითვალისწინება ისეთი სახის ვალდებულებები, რომელთა ბანკის ბალანსში ასახვა არ არის დაკავშირებული ფულადი ნაკადის მოძრაობასთან.

მუხლი 2. ამოღებულია

მუხლი 3. უცხოური ვალუტით მინიმალური სავალდებულო რეზერვების გაანგარიშება და დაცვა

1. უცხოური ვალუტით საშუალო მოზიდული სახსრების მიხედვით (გარდა ევროთი მოზიდული სახსრებისა) მინიმალური სავალდებულო რეზერვების შენახვა წარმოებს აშშ დოლარით ბანკის შესაბამის სარეზერვო ანგარიშზე.
 1. ევროთი საშუალო მოზიდული სახსრების მინიმალური სავალდებულო რეზერვების შენახვა წარმოებს ევროთი ბანკის შესაბამის სარეზერვო ანგარიშზე.
2. უცხოური ვალუტით მოზიდულ სახსრებში შეიტანება, “საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის” შესაბამისად შემდეგი საბალანსო ანგარიშები: 3312, 3313, 3316, 3361-3363, 3412-3418, 3462-3468, 3512, 3531-3532, 3562, 3611-3618, 3661-3668, 3711, 3712, 3811-3813, 4311, 4511-4516, 4518, 4519.
3. უცხოური ვალუტით საშუალო მოზიდული სახსრები (გარდა ევროთი მოზიდული სახსრებისა) გამოითვლება, როგორც მოზიდული სახსრების ანგარიშებზე გაანგარიშების

პერიოდში ყოველი კალენდარული დღისათვის რიცხული, აშშ დოლარით გამოხატული ნაშთების საშუალო არითმეტიკული.

31. ევროთი საშუალო მოზიდული სახსრები გამოითვლება, როგორც მოზიდული სახსრების ანგარიშებზე გაანგარიშების პერიოდში ყოველი კალენდარული დღისათვის რიცხული, ევროთი გამოხატული ნაშთების საშუალო არითმეტიკული.

4. ბანკი ვალდებულია, დასაცავ პერიოდში ეროვნულ ბანკში არსებულ სარეზერვო ანგარიშებზე ყოველდღიურად იქონიოს გაანგარიშების პერიოდის შესაბამისი მინიმალური რეზერვი, შესაბამის უცხოურ ვალუტაში. საოპერაციო დღეებში აიღება დღის დახურვის მომენტში არსებული ნაშთი, ხოლო არასაოპერაციო დღეებში აიღება წინა საოპერაციო დღეს არსებული ნაშთი.

5. ეროვნულ ბანკში სარეზერვო ანგარიშზე ფაქტობრივად არსებული ნაშთის, შესაბამის მინიმალურ სავალდებულო რეზერვთან მეტობის შემთხვევაში, ზედმეტად რიცხულ თანხას ეროვნული ბანკი კომერციულ ბანკს უბრუნებს საკორესპოდენტო ანგარიშზე.

6. დასაცავ პერიოდში ამ წესის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრების მინიმალურ სავალდებულო რეზერვზე, ბანკს დასაცავ პერიოდში დაერიცხება პროცენტი, რომელიც განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ. დარიცხული პროცენტის ჩარიცხვა ბანკის შესაბამის სავალუტო საკორესპოდენტო ანგარიშზე განხორციელდება დასაცავი პერიოდის დამთავრებიდან არაუგვიანეს მეშვიდე სამუშაო დღისა.

7. საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმებისას, სავალდებულო რეზერვების ანგარიშებზე რიცხულ თანხას ეროვნული ბანკი მთლიანად უბრუნებს ბანკს სალიკვიდაციო ანგარიშზე. იმ შემთხვევაში თუ ბანკს ლიცენზია ჩამოერთვა ბანკის რეორგანიზაციასთან (შერწყმა, მიერთება) დაკავშირებით, მაშინ მოცემული თანხა უბრუნდება უფლებამონაცვლე ბანკს მის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

მუხლი 4. ეროვნული ვალუტით მინიმალური რეზერვები, მათი გაანგარიშება და დაცვა

1. ეროვნული ვალუტით საშუალო მოზიდული სახსრების მიხედვით მინიმალური რეზერვის შენახვა წარმოებს ეროვნული ვალუტის სარეზერვო ანგარიშზე.

2. ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებში შეიტანება, “საქართველოს საბანკო დაწესებულებებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის” შესაბამისად შემდეგი საბალანსო ანგარიშები: 3302, 3303, 3306, 3351-3353, 3402-3408, 3452-3458, 3502, 3521-3522, 3552, 3601-3608, 3651-3658, 3701, 3702, 3801-3803, 4301, 4501-4506, 4508, 4509.

3. ეროვნული ვალუტით საშუალო მოზიდული სახსრები გამოითვლება, როგორც მოზიდული სახსრების ანგარიშებზე გაანგარიშების პერიოდში ყოველი კალენდარული დღის ბოლოს რიცხული ეროვნული ვალუტის ნაშთების საშუალო არითმეტიკული.

4. ეროვნული ვალუტის საშუალო ნაშთი იანგარიშება დასაცავი პერიოდის ბოლოს, როგორც დასაცავი პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტის სარეზერვო ანგარიშზე, ყოველ კალენდარულ დღეს არსებული თანხების საშუალო არითმეტიკული. საოპერაციო დღეებში აიღება დღის დახურვის მომენტში არსებული ნაშთი, ხოლო არასაოპერაციო დღეებში აიღება წინა საოპერაციო დღეს არსებული ნაშთი.

5. ბანკი ვალდებულია ნებისმიერი დასაცავი პერიოდის ბოლოს, იქონიოს ეროვნული ვალუტის საშუალო ნაშთი არანაკლებ შესაბამისი გაანგარიშების პერიოდის ეროვნული ვალუტის მინიმალური რეზერვისა.

6. დასაცავ პერიოდში აღნიშნული წესის მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრების მინიმალურ რეზერვზე ბანკს დასაცავ პერიოდში დაერიცხება პროცენტი, რომელიც განისაზღვრება ეროვნული ბანკის მიერ. დარიცხული პროცენტის ჩარიცხვა ბანკის შესაბამის საკორესპონდენტო ანგარიშზე განხორციელდება დასაცავი პერიოდის დამთავრებიდან არა უგვიანეს მეშვიდე სამუშაო დღისა.

მუხლი 5. ანგარიშგება და სანქციები

1. ბანკების მიერ მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვის კონტროლს აწარმოებს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო დეპარტამენტი.

2. ბანკი ვალდებულია საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო და ფულად-საკრედიტო დეპარტამენტს წარუდგინოს ბანკის ხელმძღვანელისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელი პირის ხელმოწერითა და ბანკის ბეჭდით დამოწმებული მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების ანგარიშგება ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ფორმით ყოველი დასაცავი პერიოდის დამთავრებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

21. ეროვნული ბანკის მიერ მოთხოვნილი ფორმის ბანკის მიერ დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს დააკისრებს ფულად ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით.

3. უცხოური ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე არსებული ნაშთის, ამ წესის მიხედვით შექმნილ მინიმალურ სავალდებულო რეზერვთან დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს გადაახდევინებს ფულად ჯარიმას სავალდებულო რეზერვების ანგარიშზე ყოველ კალენდარულ დღეს არსებული დანაკლისის თანხის 0,2%-ის ოდენობით. ჯარიმა დაერიცხება ეროვნული ვალუტით, იმ დღეს არსებული კურსით.

4. ეროვნული ვალუტის საშუალო ნაშთის ამ წესის მიხედვით შექმნილ მინიმალურ რეზერვთან დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს გადაახდევინებს ფულად ჯარიმას, მოცემული დანაკლისის 2,8%-ს.

5. ყოველდღიური მოზიდული სახსრების მიხედვით გაანგარიშებული საშუალო მოზიდული სახსრების არასწორად გაანგარიშების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, ეროვნული ბანკი ბანკს დააკისრებს ფულად ჯარიმას 10000 ლარის ოდენობით.

51. დაცვის პერიოდში, დასაცავი ნაშთების შესახებ, როგორც ეროვნულ ისე უცხოურ ვალუტაში არაზუსტი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, დარღვევის თითოეული ფაქტზე ეროვნული ბანკი ბანკს დააჯარიმებს 1000 ლარის ოდენობით.

6. ბანკებისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით, რომელშიც მითითებული იქნება მისი აღსრულების წესი.

7. ბანკებისათვის ფულადი ჯარიმების დაკისრების შესახებ ეროვნული ბანკის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალაშია მისი ბანკისათვის გაცნობისთანავე.

8. განსაკუთრებულ შემთხვევებში, ცალკეული ბანკის დროებითი ფინანსური სიძნელების შემთხვევაში, ლიკვიდური სახსრების მწვავე უკმარისობის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს წინადადებით, მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის თანხმობით, ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომიტეტის მიერ განსაზღვრული ვადებითა და პირობებით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ან ვიცეპრეზიდენტი უფლებამოსილია:

- ა) ბანკი გაათავისუფლოს მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან;
- ბ) ფულადი ჯარიმის, როგორც სანქციის, დაკისრების შემთხვევაში, გააუქმოს შეფარდებული საჯარიმო სანქცია და ბანკი გაათავისუფლოს ფულადი ჯარიმის გადახდისაგან;

9. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების დაცვისაგან, საჯარიმო სანქციის შეფარდებისაგან გათავისუფლება და შეფარდებული საჯარიმო სანქციის გაუქმება ხდება ადმინისტრაციული აქტით, რომელიც გამოიცემა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ან ვიცე-პრეზიდენტის განკარგულების სახით.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

1. 2010 წლის 29 აპრილამდე მინიმალური სარეზერვო ნორმა ეროვნული ვალუტით მოზიდული სახსრებისათვის (მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი საბალანსო ანგარიშების მიხედვით), გარდა არარეზიდენტებისაგან ნასესხები სახსრებისა (საბალანსო ანგარიშები: 3502, 3552, 3701, 3702) არის 5%.

2. 2010 წლის 2 სექტემბრამდე მინიმალური სარეზერვო ნორმა არარეზიდენტებისაგან ნასესხები სახსრებისათვის (საბალანსო ანგარიშები: 3502, 3512, 3552, 3562, 3701, 3702, 3711, 3712) არის 0%.